ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

გიორგი პაპავა

100

უნივერსიტეტის გამოცემლობა

თბილისი, 2023

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის
გამომცემლობა

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი 2023

დაიბეჭდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტი № MG-ISE-23-636]

რედაქტორი:
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის
ინსტიტუტის დირექტორი **რამაზ აბესაძე**

ISSN 2960-995X

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა

© გამომცემლობა „უნივერსალი“

საავტორო უფლებები დაცულია.

თუ ავტორის ან გამომცემლობის წერილობითი ნებართვა არ არსებობს, არ შეიძლება წიგნის რომელიმე მონაკვეთი გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ მორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით, ქსეროკოპირების, ინფორმაციის შენახვისა და მოძიების ელექტრონული სისტემებით.

წიგნი ეძღვნება პროფესორ გიორგი პაპავას
დაბადებიდან მე-100 წლისთავს

გიორგი პაპავა

100

სარჩევი

ცხოვრება და მოღვაწეობა

გიორგი პაპავა – 100 11

ჰამაზ აბესაძე

მოგონებები

გიორგი პაპავა – ღირსეული მამულიშვილი
და მასშტაბური აზროვნების მეცნიერი 17

ნოდარ ქითანავა

პროფესორი გიორგი პაპავა – მეცნიერი, მოძღვარი,
საზოგადო მოღვაწე და ოჯახის თვალისჩინი 20

ეთერ ხარაიშვილი

დიდებული მეცნიერი და პედაგოგი 24

მარინა ჩავლეიშვილი

ღვაწლმოსილი მეცნიერი 26

მუხმან კვარაცხელია

ღირსეული მეცნიერი და პედაგოგი 29

ნუგზარ პაიჭაძე

დაუოკებელი ენერგიისა და მისწრაფების ადამიანი 32

მიხეილ თოქმაზიშვილი

შესანიშნავი პედაგოგი, გამორჩეული მეცნიერი,
კრეატიულობის ნიმუში მთელი
თავისი ცხოვრების მანძილზე 34

გივი ბედიანაშვილი

რამდენიმე შტრიხი პროფესორ გიორგი პაპავას
პორტრეტისათვის 36

მიხიან ტუხაშვიღი

პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 100
წლისთავისადმი მიძღვნილი მოსაგონარი 39

მიხონ ტულუში

გიორგი პაპავა – გამოჩენილი მეცნიერი,
სანიმუშო პიროვნება 42

ნუნუ ქისტაუხი

საოჯახო ალბომიდან

ცხოვრება და მოღვაწეობა

გიორგი პაპავა – 100



გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და პედაგოგის გიორგი ვლადიმერის ძე პაპავას გარდაცვალებიდან 100 წელი შესრულდა. იგი 89 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან და დატოვა კვალი ნათელი, რომლითაც სამართლიანად იამაყებს ქართველ ეკონომისტთა მრავალათასიანი არმია და საერთოდ საქართველო.

პროფესორი გიორგი ვლადიმერის ძე პაპავა დაიბადა 1923 წლის 3 იანვარს სამტრედიაში ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტის ვლადიმერ თადეოზის ძე პაპავას ოჯახში. 1926 წლიდან პაპავების ოჯახი საცხოვრებლად გადადის თბილისში. ბატონი გიორგი 1941 წელს ამთავრებს თბილისის 21-ე საშუალო სკოლას და პირდაპირ სასკოლო მერხიდან იწვევენ სამხედრო სამსახურში. 1942 წელს იგი ჩავარდა ტყვედ და 1944 წლის ნოემბრამდე, რასაკვირველია, მძიმე პირობებში, იმყოფებოდა ტყვეთა სხვადასხვა ბანაკში. 1945 წლის აპრილში იგი სიცოცხლის რისკის ფასად ახერხებს ციხიდან გაქცევას და საბჭოთა ჯარებამდე მიღწევას, რის შემდეგ იგი იბრძოდა ფრონტზე. 1945 წელს დემობილიზაციის შემდეგ დაბრუნდა თბილისში. 1946 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერ-

სიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1958 წლამდე ბატონი გიორგი მუშაობდა თავდაპირველად ჩაქვის # 2 და ლაითურის ჩაის ფაბრიკებში უფროს ეკონომისტად, შემდგომ კი ანასეულის ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში ლაბორატორიის განყოფილების გამგედ და კვლევითი ლაბორატორიის უფროსად. 1958 წლის ივნისიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში უმცროს, შემდეგ კი უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ითავსებდა რა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კათედრის დოცენტის თანამდებობას. 1967 წლიდან იგი იყო საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, 1974 წლიდან კი – საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, 1978 წლიდან – საკავშირო შრომის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის, 1982 წლიდან – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული სამეცნიერო-საწარმოო სასწავლო გაერთიანების განყოფილების გამგე. 1994 წლიდან მუშაობდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომლად. 1996 წლიდან ბატონი გიორგი მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში, სადაც იგი სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში იგი შეთავსებით იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. განსაკუთრებით ეკონომიკის ინსტიტუტში მუშაობის წლებში გამოვლინდა ბატონი გიორგის, როგორც მეცნიერისა და მეცნიერების ორგანიზატორის ნიჭი. ამ დროს შექმნა მან თავისი საუკეთესო ნაშრომები. ყველას გვახსოვს

განყოფილების, როგორც სამეცნიერო ერთეულის, მისეული მართვის სტილი – განყოფილების სხდომებზე სამეცნიერო პრობლემების სისტემატური ცხარე განხილვების ტრადიციად დამკვიდრება.

1959 წელს ბატონმა გიორგიმ წარმატებით დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1973 წელს – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. პროფესორი გიორგი პაპავა არის 150-მდე გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი (მათ შორის, 20-ზე მეტი მონოგრაფიის). მისი მეცნიერული კვლევის სფერო მოიცავს სამრეწველო საწარმოთა ეკონომიკის, ორგანიზაციის, მართვის თეორიისა და ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგიის პრობლემებს; მან დასაბამი მისცა ეკონომიკის ახალ მიმართულებას, შეიმუშავა რა მეცნიერული შემეცნების სისტემური მეთოდოლოგია „პერიოდანტულ-გენეტიკური მიდგომის" სახით და შექმნა ეკონომიკურ მახასიათებელთა მულტიპლიკაციური მთლიანობითი სისტემა, რითაც შესაძლებელი გახადა მენეჯმენტის ორგანიზებულობის გაზომვა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი 2009 წელს სტოკჰოლმში (შვედეთი) გამოცემული ერთ-ერთი ბოლო ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერულ-კვლევითი მონოგრაფია: „Методология познания качеств реалий смешанной рыночной экономики и паралогизмы", რომელმაც აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სამეცნიერო პრემია დაიმსახურა. 1987 წელს საქართველოს განათლების სამინისტროს პრემია მიენიჭა ასევე შვილთან, პროფესორ ვლადიმერ პაპავასთან ერთად გამოცემულ წიგნს – „სამრეწველო საწარმოთა ორგანიზაცია, დაგეგმვა და მართვა". გარდა ამისა, ბატონი გიორგი თანაავტორებთან ერთად არის გამოგონების (გამოგონებათა და აღმოჩენათა საკავშირო კომიტეტის 1957 წ #105622 საავტორო მოწმობა) ავტორი. მისი ნაშრომებიდან შეიძლება გამოიყოს მონოგრაფიები: „სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა" (ორ

ტომად, 1998), „საბაზრო ეკონომიკის გამოჯანსაღებისა და ნორმალიზაციისათვის საქართველოში“ (2000), „ეკონომიკური ანალიზის პერიოდანტული მეთოდი (სამრეწველო მეწარმეობრივი ფირმის მაგალითზე)” (2001), „საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია საქართველოში“ (2003), „მეწარმეობის საფუძვლები“ (2004) და სხვ.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს პროფესორ გიორგი პაპავას ღვაწლი ეკონომისტთა და მეცნიერ-ეკონომისტთა მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. მისი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში აღიზარდა ეკონომისტთა არაერთი თაობა, იგი სამეცნიერო კონსულტაციას უწევდა მრავალ ასპირანტს და მეცნიერების ხარისხის მაძიებელს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიენიჭა 12 მაძიებელს.

განსაკუთრებით უნდა ითქვას ასევე ბატონი გიორგის ადამიანური თვისებების შესახებ. მასთან ვერასდროს მოიწყენდი, დადებითი მუხტი წამსვე გადმოგედებოდა. იგი იყო შეუპოვარი მოწინააღმდეგეებისა და, საერთოდ, ცხოვრების მიმართ. მიუხედავად ასაკისა და ავადმყოფობისა, იგი ბოლომდე არ წყვეტდა სამეცნიერო მუშაობას და სიახლეების ძიებას.

პროფ. გიორგი პაპავა გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებულია სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით და 9 მედლით, საქართველოს ღირსების ორდენით. ბატონი გიორგი მადლიერი და ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან და სამუდამო სასუფეველში დაიდო ბინა, იგი საუკუნოდ შეუერთდა ქართული ეკონომიკური მეცნიერების ბრწყინვალე წარმომადგენლებს. ბატონმა გიორგიმ ქალბატონ რუსუდან ჩხეიძესთან ერთად შესანიშნავი ოჯახი შექმნა და სახელოვანი შთამომავლობა დატოვა: ვაჟიშვილი, ვლადიმერ პაპავა – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო და საზოგადო მო-

ღვაწე; ქალიშვილი, მაია პაპავა – მუსიკოსი; ასევე წარმატებულები არიან მისი შვილიშვილები – ლანა, არჩილი და გიორგი პაპავები და გიორგი მელაძე. სასიხარულოა, რომ ბატონ გიორგის უკვე ჰყავს შვილთაშვილები – ლუკა, ალექსი და დანიელი.

პროფესორ გიორგი პაპავას ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრებისა და ახლობლების გულში, მისი სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა.

რამაზ აბესაძე

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის
ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მოგონებები

გიორგი პაპავა – ღირსეული მამულიშვილი და მასშტაბური აზროვნების მეცნიერი



გიორგი პაპავას ფენომენი – სამეცნიერო საზოგადოებისთვის სანიმუშო მაგალითი

გიორგი პაპავა ქართული ეკონომიკური მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი მრავალმხრივობით გამორჩეული მაღალი რანგის პროფესიონალი იყო. მის მეცნიერულ ნოვატორულ ცხოვრებას განსაკუთრებულ ხიბლს ანიჭებდა მისივე მოქალაქეობრივი პოზიცია, კეთილშობილებით გაჯერებული მისი პიროვნული თვისება – ღირსებები. სწორედ ამიტომ იგი საზოგადოების, კერძოდ კი, კოლეგების უპირობო ნდობით სარგებლობდა. იგი ერთნაირად იყო ძლიერი და ღირსეული მამულიშვილი, მასშტაბური აზროვნებისა და საზოგადოებრივ პროცესებში სიღრმისეული კვლევის ოსტატი, საბაზრო ტექნოლოგიების შეუდარებელი მკვლევარი, საოცრად კეთილი და ამავდროულად პრინციპების ერთგული მეცნიერი, მოქალაქე და დამრიგებელი. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მაძლევს საფუძველს ვთქვა: გიორგი პაპავას ფენომენი სანიმუშო მაგალითია ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის. ეს ერთეულთა ხვედრია მხოლოდ.

ბატონი გიორგის ერთ-ერთ იუბილეზე გამოსვლისას აღვნიშნე, რომ „თუ სოციალურ-ეკონომიკური სისტემებისადმი დამოკიდებულების პოზიციიდან განვიხილავთ მის

პიროვნებას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი სამი სისტემის გავლენით ყალიბდებოდა მეცნიერ-ეკონომისტად. პირველი სტადია „ნეპიდან“ იწყება. გრძელდება, ღრმავდება ცენტრალიზებულ დაგეგმვასა და მართვაზე დამყარებულ ეკონომიკურ სისტემაში (აღიარებენ, მას როგორც მრეწველობის ეკონომიკის ღრმა მკვლევარს და პრაქტიკოსს) და ნაყოფიერად მოღვაწეობს ეროვნული ეკონომიკის თანამედროვე საბაზრო პრინციპებზე ტრანსფორმაციის პერიოდში.“

ამრიგად, ერთმანეთისაგან განსხვავებული ეკონომიკური სისტემების გავლენით ჩამოყალიბდა როგორც პიროვნება, მეცნიერი, მამულიშვილი. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი დროში არ ჩარჩენილა, მკაცრ მოთხოვნებსაც გაუძლო და ყველა ეტაპზე უმთავრესი – ღირსება და მეცნიერული კეთილსინდისიერება შეინარჩუნა.

ბატონი გიორგი საოცარი მახვილგონიერებით გამოირჩეოდა. მისი ერთ-ერთი გამოკვეთილი თვისება იყო იუმორთან შეზავებული აზრების მომხიბვლელად გადმოცემის უნარი, როცა მძივებივით აწყობილი სიტყვების მხოლოდ კონა არ იქმნება, არამედ მას პრინციპულობასთან, კეთილმოსურნეობასთან წილნაყარი დიდი ზნეობრივ- მოქალაქეობრივი დატვირთვა ჰქონდა.

მხოლოდ ერთ მაგალითს დავასახელებ. როცა ბატონი გიორგის ვაჟიშვილი ნიჭიერებით, გამჭრიახობით, განათლებით გამორჩეული ეკონომიკის მეცნიერებათა ახალგაზრდა დოქტორი (ამჟამად აკადემიკოსი) ლადო პაპავა ქვეყნის ეკონომიკის მინისტრად დაინიშნა, ბუნებრივია მიმლოცველთა რიგიც დადგა. ბატონმა გიორგიმ ყველას გასაგონად განაცხადა: „ჩემი შვილი მე მაჯობებს მხოლოდ მაშინ, როცა ჩემს შვილზე უკეთეს შვილს გაზრდისო“. ვაღიარებ, რომ ფილოსოფიური კატეგორიებით გამსჭვალული ეს სიტყვები გავაცნობიერე, როგორც საზოგადოების განვითარების ფორმულა, წარსულის, აწმყოს და მომავლის ერთიანობის მაგალითი. ყველგან, სადაც გარემო ამის სა-

შუალებას მაძლევს, ყველას გასაგონად ვამბობ ბრძენი კაცის ზემოთ აღნიშნულ სიტყვებს.

რა მომწონდა მის შემოქმედებაში? მასშტაბური ხედვა, არასტანდარტული მიდგომები, მოვლენების (პროცესების) შეჯერების, კვლევის მეთოდების კომბინაციური მრავალფეროვნებით გამოყენების განგებისაგან ბოძებული უნარი, არსებული ვითარების მეცნიერულად განზოგადების მისეული პოზიციები. იგი წერდა, რომ „დღეს საქართველოში (იგულისხმება 90-იანი წლები) დომინირებენ შექმნილი დოვლათის მიმთვისებლები და არა დოვლათის შემქმნელები. ასეთ შემთხვევაში განვითარებას განსაზღვრავს ორივე, რაც ხელს უშლის ეკონომიკის ქმედითობასაც.

... დემოკრატიული საზოგადოება კი არ გვინდა საბაზრო ეკონომიკისათვის, არამედ საბაზრო ეკონომიკა გვჭირდება დემოკრატიული საზოგადოებისათვის... საბაზრო ეკონომიკური სისტემა უნდა იქნეს განხილული არა, როგორც იდეოლოგიური დოგმებით შექმნილი რეალობა, არამედ ობიექტურად ჩამოყალიბებული მოვლენა-პროცესი, რომლის სრულად აღქმის, ანალიზისა და შეფასებისათვის საჭიროა სისტემური მიდგომა.“ ცხოვრებამ დაადასტურა ასეთი მიდგომის მართებულობა.

რეალურად დადასტურდა ბატონი გიორგის მოსაზრება იმის შესახებაც, „რომ ეკონომიკური სუბიექტის გაკოტრება თავისთავად არ მოასწავებს ეკონომიკური ობიექტის ფუნქციონირების შეწყვეტას. იგი სხვის ხელში შეიძლება წარმატებულად ფუნქციონირებდეს.“ სწორედ ამაში ხედავს იგი საბაზრო ტექნოლოგიის უწყვეტობის პრინციპს.

ბატონმა გიორგიმ დიდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მისი ერთ-ერთი ბოლო ნაშრომი „ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგია“ ახალი სიტყვაა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ეკონომიკური ტრანსფორმაციის წინააღმდეგობრივი პროცესების ანალიზისა და შეფასებისათვის.

ჩემთვის გიორგი პაპავა იმის მაგალითიცაა, თუ როგორ უნდა უპასუხოს ღირსეულმა მამულიშვილმა კაცობის ფენომენის მიმართ დიდი ილიას მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. თავად გიორგი პაპავა იყო ოჯახის კაცის, გვარის კაცის, თემის კაცის, ქვეყნის კაცის და ზოგად კაცის სანიმუშო მაგალითი.

გიორგი პაპავას მეგობრებს, კოლეგებს საამაყოდ ისიც გვეყოფა, რომ მისი თანამედროვენი ვიყავით.

ნოდარ ჭითანავა

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი,

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პროფესორი გიორგი პაპავა – მეცნიერი, მოძღვარი, საზოგადო მოღვაწე და ოჯახის თვალისჩინი



ადამიანის სიცოცხლე მართლაც ხანმოკლეა, თუმცა გარდაცვალების შემდეგაც შეიძლება სიცოცხლის გახანგრძლივება. ერთ-ერთი ხალხური სიბრძნეც ამას გვასწავლის: „იცოცხლე ისე, რომ სიკვდილის შემდეგაც არ მოკვდე“. ილია ჭავჭავაძე კი ბრძანებდა: „მკვდრად იგი თქმულა, ვისაც სახელი არ დარჩენია.“ დიახ, ვეთანხმები ამ ბრძნულ შეფასებებს. შინაგანად ღრმად მწამს, რომ არიან ადამიანები, რომლებიც სიკვდილის შემდეგაც ჩვენთან ერთად მოქმედებენ როგორც ცოცხლები, გაურკვევლობაში გზას გვინათებენ, გვეხმარებიან ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობებში. ჩემთვის ასეთ პიროვნებათა შორისაა პროფესორი გიორგი პაპავა – დიდი მეცნიერი, აღმზრდელი, საზოგადო მოღვაწე და ოჯახის თვალისჩინი.

„იცოცხლე ისე, რომ სიკვდილის შემდეგაც არ მოკვდე“

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი გიორგი პაპავა კვლევის საოცარი ალღოთი გამორჩეული პიროვნება გახლდათ. მეცნიერება მისი სულის სამფლობელო, მუშაობის სტილი და ცხოვრების წესი

იყო. ბატონ გიორგის ნიჭიერება, გამორჩეული აზროვნება მეცნიერისთვის დამახასიათებელ მუდმივ ქმედებასა და ახლის ძიებაში პოულობდა განსახიერებას.

დღესაც აქტუალურია ბატონ გიორგის ნაშრომებში გადმოცემული თეორიული თუ ემპირიული კვლევის შედეგები: ორიგინალური და ფილოსოფიური აზროვნების ნიმუშია მისი ფუნდამენტური კვლევა „შერეული საბაზრო ეკონომიკისა და პარალოგიზმების შემეცნების მეთოდოლოგია"; ფუნდამენტური მეცნიერული ნაშრომია „საბაზრო ეკონომიკის გამოჯანსაღების და ნორმალიზაციისათვის საქართველოში", რომელიც თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საუკეთესო მაგალითია; დღესაც მრავალმხრივი და კომპლექსური ცოდნის მომცემია სახელმძღვანელოების ორტომეული – „სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა" და სხვა.

ჩემთვის განსაკუთრებით ღირებულია მის მიერ ბოლო წლებში გამოცემული წიგნი „ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგია", რომლის ერთ-ერთი რეცენზენტი მეც ვარ. წილად მხვდა ბედნიერება ამ წიგნის ყველა სტრიქონი ერთად წაგვეკითხა და შეგვეფასებინა. ნაშრომში დასმულ პრობლემებს ბატონი გიორგი ისე ხატოვნად მიხსნიდა, რომ სახლში დაბრუნების შემდეგ ამ სტრიქონების რამდენჯერმე წაკითხვის სურვილი თავისთავად მიჩნდებოდა. ბედნიერი ვარ, რომ მისი ოცნება რეალობად ვაქციეთ და „ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგია" სასწავლო კურსის სახით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წლების განმავლობაში ეკითხებოდათ ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტებს.

დიდბუნოვნება, უჩვეულო კაცთმოყვარეობა, შრომის განსაკუთრებული უნარი, მიმტევებელი – ასეთი უნდა იყოს ჭეშმარიტი მოძღვარი. დიახ, ყველა ამ თვისების მატარებელი გახლდათ პროფესორი გიორგი პაპავა.

ბატონი გიორგი პირადად მე არ მიკითხავდა ლექციებს, მაგრამ ჩემი შვილის საუკეთესო ლექტორი იყო. სტუდენტებთან ყოველთვის გამორჩეულად თბილი და ახლობლური დამოკიდებულება ჰქონდა. ხშირად მიფიქრია იმაზე, თუ რა იყო ამის მიზეზი. ალბათ ის, რომ ბატონი გიორგი ყველაზე დიდი სიმდიდრის მფლობელი იყო: ის გახლდათ დიდი მეცნიერი, სულიერად ამაღლებული და პიროვნულად თავისუფალი ადამიანი.

ბედმა მარგუნა იმ კათედრაზე მუშაობა, სადაც ბატონი გიორგი წლების განმავლობაში მოღვაწეობდა. მასთან სამაგალითო და თბილი ურთიერთობები ჩამომიყალიბდა. ბატონ გიორგისგან ვისწავლე კაცთმოყვარეობა, სამშობლოს სიყვარული, ოჯახის პატივისცემა, სტუდენტებთან დამოკიდებულება, რისთვისაც მისი ძალიან მადლობელი ვარ.

ბატონმა გიორგიმ ჩემს ცხოვრებაში დიდი კვალი დატოვა საუნივერსიტეტო საქმიანობის შემეცნებასა და ფასეულობების ჩამოყალიბებაში. ვამაყობ, რომ ასეთი მასწავლებელი მყავდა, მადლიერი ვარ, რომ მისი სიცოცხლის ბოლო დღეებშიც კი სულგანაბული ვუსმენდი მის მრავალწახნაგოვან, ცხოვრებისეულ, ფილოსოფიურ და მომნუსხველ მსჯელობას არა მარტო ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ოჯახის ღირებულებებზე, შვილებით განცდილ ფარულ სიამაყეზე. ეკონომიკის საკითხებზე მსჯელობისას ხშირად ჩავეკითხებოდი, მაგრამ შვილებზე საუბარს თითქმის ვერასდროს ვახერხებდი, განსაკუთრებით კი ბატონ ლადოზე – არადა ყოველთვის მაინტერესებდა. ერთხელაც ოჯახის იდეალებზე საუბრისას ერთგვარი შფოთვა შემატყო და მითხრა: „იცით ერთმა კაცმა რა მითხრა ლადოზე?“ მაშინ კი გავბედე და კითხვა დავუბრუნე: „რა გითხრათ?“ მითხრა, რომ ლადომ მაჯობა, ის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრია. და არ გაინტერესებს

მე რა ვუთხარი? ცხადია, ჩემს დიდ დაინტერესებაზე პასუხი დამიბრუნა: „ლადო მაშინ მაჯობებს, როცა ჩემზე უკეთეს აკადემიკოს შვილს გაზრდისო“ – დღესაც მახსოვს ამ წინადადების დასასრულს მისი ნათელი ღიმილი, სიამაყე და სულის სიდიადე, რომელიც შვილის წარმატებისა და სიამაყის გამო შეიძლება დაეუფლოს მშობელს.

სიცოცხლის ბოლო დღეებში მასთან სახლში სიარულს მოვუხშირე, ვიცოდი მცირედით, მაგრამ მაინც შევუმსუბუქებდი აუდიტორიის მონატრებას. ჩვენი საუბრები 2-3 საათი მაინც გრძელდებოდა. თუ მასთან მისვლა ოდნავ შემაგვიანდებოდა, მაშინვე დამირეკავდა და მეტყოდა, რომ ახალი იდეები ჰქონდა სათქმელი ჩემთვის და მეც კალამმომარჯვებული მივუკაკუნებდი კარზე, რათა მომესმინა მისი მომნუსხველი საუბრები. მასთან მისვლა კი მრავალმხრივ საინტერესო იყო: საუბრები ეკონომიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური და ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის აქტუალური საკითხების განხილვით იწყებოდა, შემდეგ შეფასებები თავისუფალ თემებზე კულტურაზე, ტრადიციებზე, ადათ-წესებზე, მორალზე, უფლებებსა და მოვალეობებზე გრძელდებოდა; შეხვედრა ისე არ ჩაივლიდა მეორე მსოფლიო ომის დროს გავლილი რთული გზა, თვით გესტაპოს ციხის ჯურღმულების სიმწარე არ გაეხსენებინა. სულგანაბული ვუსმენდი მის მოგონებებს ტყვეობაში ყოფნის დღეებზე, გულშიჩამწვდომი იყო მისი მონათხრობი მეგობრისგან გამოწვდილ ხელზე, რომელმაც ტალახიანი თოვლი მიაწოდა სიარულით გათანგულ, შემდეგ კი წაბორძიკებულ და სიკვდილისთვის განწირულ ბატონ გოგის. როგორც ბატონი გოგი დასძენდა წაქცეულებს გერმანელები ადგილზე ხოცავდნენ. მეგობრისგან მიწოდებული თოვლის პირში ჩადებით კი მან მეორე სუნთქვა შეიძინა, ენერგია დაიბრუნა, სიარული გააგრძელა და სიკვდილს გადაურჩა. აი ასეთი იყო ბატონი გიორგი: არასოდეს ნებდებოდა და ცხოვრებას ყოველთვის აგრძელებდა, მაშინაც კი, როცა ყველაფერი

ძალიან ცუდად იყო. არც ზედმეტად ამბიციური იყო, თუმცა გააჩნდა საკუთარი გამოკვეთილი იდეები და ბოლომდე მიჰყავდა დაწყებული საქმეები.

საუბრების დასრულებამდე 10 წუთით ადრე თავის შესანიშნავ მუღლეს რაღაც მინიშნებას აძლევდა, თან მიაძახებდა: „რუსა, მალე დავასრულებთ შეხვედრასო“ და ქალბატონი რუსუდანიც ტკბილეულით და ჩაით აუცილებლად გაგვიმასპინძლდებოდა. ასე ვიყავი განებივრებული ამ დიდი ადამიანების გარემოცვაში, მათგან ყოველთვის დიდ სულიერ საზრდოს ვღებულობდი.

დასაწყისში საუბარი იმით დავიწყე, რომ ადამიანები მოკვდავები არიან, თუმცა შესაძლებელია სიკვდილის შემდეგაც სიცოცხლის გაგრძელება. უკვდავება დიდბუნებოვანთა სულში ბინადრობს და ასეთი ბედისწერა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. რჩეულ ადამიანთა შორის კი ქეშმარიტად რჩეულია ბატონი გიორგი, რადგან მან დატოვა ღირებული ნაშრომები, მრავალ ახალგაზრდას შესძინა მეცნიერული და ცხოვრებისეული უნარები, ასწავლა უნივერსიტეტისა და სამშობლოს სიყვარული, დატოვა მისი ტრადიციების ღირსეული გამგრძელებლები. ბატონი გიორგი თავისი ცხოვრების წესით, შრომისმოყვარეობით, კეთილსინდისიერებით, მეცნიერული კვლევებით, ოჯახისადმი სიყვარულით დღესაც ეტალონია პირადად ჩემთვის და მრავალი ადამიანისათვის.

ბატონი გიორგის მოგონებებმა ჩემში წარსულის მონატრება და დარდიც გაზარდა. მაგრამ მწამს, რომ წარსული წარსულში მართლაც არ კვდება. ბატონ გიორგის სიცოცხლე მის მეცნიერულ ნაშრომებში, მისი მოსწავლეების, საზოგადოების, ოჯახის წევრებში კვლავ გრძელდება. ბატონი გიორგის გახსენებამ, მისი ცხოვრების გზის გაანალიზებამ ერთ ქეშმარიტებაში საბოლოოდ დამარწმუნა: დიდი მეცნიერი და მოძღვარი სიკვდილის შემდეგ მხოლოდ მაშინ იცოცხლებს დიდხანს და აღაფრთოვანებს

შთამომავლობას, თუ მეცნიერულ სიდიადესთან ერთად კეთილსინდისიერებითაც გამოირჩევა. პროფესორი გიორგი პაპავა გახლდათ დიდი მეცნიერი, საუკეთესო მოძღვარი და კეთილსინდისიერებით გამორჩეული პიროვნება, მაშასადამე, იგი კვლავ დიდხანს იქნება აღფრთოვანების მაგალითი.

ეთერ ხარაიშვილი

თსუ მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი,

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დიდებული მეცნიერი და პედაგოგი



მისი ხედვა ეკონომიკუი საკითხებზე სიღრმისეული ფილოსოფიუი ანალიზით იყო გამსჭვალული

არიან პიროვნებები, რომლებიც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებენ ადამიანების მეხსიერებაში და ყველასთვის არიან სამაგალითონი. სწორედ ასეთი პიროვნება იყო ჩემთვის ბატონი გიორგი პაპავა: თავმდაბალი, პროფესიონალი, საუკეთესო პედაგოგი, დიდი მეცნიერი, მეგობარი, არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა, ბაბუა ...

ბედნიერება მხვდა წილად, რომ მასთან მომიწია თანამშრომლობა. ბატონი გიორგის და ჩემი ურთიერთობა დაიწყო თსუ-ში მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და შრომის ეკონომიკის კათედრაზე და გაგრძელდა მისი სიცოცხლის ბოლომდე. იგი ყოველთვის მისაბაძი იყო ჩემთვის. განსაკუთრებით აქტიური ურთიერთობა მქონდა სიცოცხლის ბოლო წლებში. მასთან ხშირად ვსტუმრობდით სახლში მე და ქალბატონი ეთერ ხარაიშვილი, არასოდეს დამავიწყდება მისი შეხვედრა, ხალისით სავსე თვალები, ქალბატონი რუსუდანი, რომელიც მთელი თავისი ენერგიით ცდილობდა ბატონი გიორგისთვის საუკეთესო სამუშაო გარემოს შექმნას...საოცარი იყო ის ენერგია, რომელსაც იგი სამეცნიერო მუშაობას უძღვნიდა, ყოველი შეხვედრა იყო ანალიზი მის მიერ განხორციელებული კვლევების შესახებ... ბედნიერი იყო ჩვენთვის მეცნიერული მიგნებების გაცნობით. ბატონი გიორგი მთელი თავისი არსებით იყო სულით ხორცამდე მეცნიერი და მკვლევარი. მისი ხედვა ეკონომიკურ საკითხებზე სიღრმისეული ფილოსოფიური ანა-

ლიზით იყო გამსჭვალული, რომლებიც წლების შემდგომაც არ დაკარგავს პოპულარობას. მისი მეცნიერული ხედვა წინ უსწრებდა მოვლენებს, რომლებიც დროს უძლებს და არასოდეს დაკარგავს აქტუალობას.

სასიამოვნო იყო ბატონ გიორგისთან შეხვედრა არა მარტო პროფესიული, არამედ პიროვნული ურთიერთობის თვალსაზრისითაც. თითოეული ჩვენი შეხვედრა იყო პროფესიული ცოდნის გაღრმავება, ასევე საუკეთესო ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება. ყოველი შეხვედრის დროს, სამეცნიერო კვლევების განხილვის შემდგომ, გვიზიარებდა პრაქტიკულ, ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რომელიც დიდი გაკვეთილი იყო პირადად ჩემთვის, ასევე ყოველი დაშორების შემდგომ იყო მოლოდინი ახალი შეხვედრის.ალბათ სიმბოლურია ის, რომ მე და ქალბატონმა ეთერმა სიცოცხლის ბოლო დღეებში მოვინახულეთ ბატონი გიორგი, რომელსაც უკვე დამძიმებული ჰქონდა ჯანმრთელობის მდგომარეობა. მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, იგი შემართებით წამოდგა, დაჯდა ჩვენთან და ენთუზიაზმით დაიწყო საუბარი სამეცნიერო სიახლეებზე.. შეიძლება ითქვას, რომ მას სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია მუშაობა. არასოდეს დამავიწყდება მისი სახე...სამწუხაროდ, ბოლო აღმოჩნდა ეს შეხვედრა... ძალიან დაგვაკლდი, ბატონო გიორგი! დარჩა მხოლოდ კეთილი მოგონებები, თქვენი შთაგონებები, რომლებიც არასოდეს წაიშლება ჩემს მეხსიერებაში... მახსენდება ცნობილი გამოთქმა: „ადამიანები იმიტომ კი არ ცოცხლობენ, რომ საკუთარ თავზე ზრუნვა ასულდგმულებთ, არამედ იმ სიყვარულის გამო, რომელიც მათ მიმართ სხვა ადამიანებს აქვთ“. ბატონო გიორგი თქვენ შესძელით ეს სიყვარული. ნათელი დაადგეს თქვენს უკვდავ სულს.

მარინა ჩავლეიშვილი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე,

ასოცირებული პროფესორი

ღვაწლმოსილი მეცნიერი



სრულიად ახალგაზრდა ჩაება მეორე მსოფლიო ომის ქარტეხილებში და როგორც სხვა ათასობით საბჭოთა ადამიანი, შემთხვევით აღმოჩნდა უკვე თითქმის გაცამტვეხებული გერმანიის ტერიტორიაზე

საქართველოს ძველ თუ უახლეს ისტორიას ყოველთვის ამშვენებდა მესამშობლოე მამულიშვილთა კოჰორტა, რომლებიც ქმნიდნენ ეპოქას უფლის მიერ ბოძებული მისიის ხელდასმით. მრავალი ქართველი მოაზროვნე ცდილობდა საკუთარი ფილოსოფიური და ყოვლისმომცველი აზროვნების არტახებში მოექცია თავისი დროის მაჯისცემით ნაკარნახევი ქვეყნის სატკივარი და მომავალი თაობების წინაშე ვალმოხდილი წარმდგარიყო.

სწორედ ასეთ ადამიანთა კატეგორიას განეკუთვნება ჩვენი ქვეყნის ორი ისტორიული ეპოქის გზაგასაყარზე თითქმის საუკუნოვანი ცხოვრების აღმართზე ამაყად და ღირსეულად მავალი პიროვნება, პროფესორი გიორგი პაპავა.

გიორგი პაპავამ საუკუნოვანი გადასახედიდან სახელოვანი ცხოვრების გზა გამოიარა, რომელიც ბევრ ტკივილსა და იმედის გაცრუებასაც იტევდა. მაგრამ მისი პიროვნული სიძლიერე სწორედ მაშინ გამოჩნდა, როდესაც სრულიად განსხვავებული და ანალოგის არმქონე ახალი სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობისა და მისი თეორიული დამკვიდრების

დრო დადგა. ადამიანების მენტალიტეტში ადვილი არ იყო ასეთი უპრეცედენტო და მოულოდნელი სიახლეებისთვის დროულად ალღოს აღება. ფაქტობრივად სიბნელეში ხელის ცეცებით უხდებოდათ სიარული ჭეშმარიტ მეცნიერებს, რომ გაერღვიათ ათეული წლებით საზოგადოების გონებაში ჩაკირული რწმენის ლაბირინთები და *„ჩუეულებისაებრ მამულისა სღვისა“* გზებიდან სულ სხვა რელსებზე გადაეგდოთ ქვეყანა. უფრო სწორად, საჭირო გახდა უტოპიური თეორიული წარმონაქმნის პრინციპებზე მორგება. დრო მოითხოვდა სწრაფ აზროვნებას დროსა და სივრცეში საკუთარი ადგილისა და „მეს“ დასამკვიდრებლად. ამის მიღწევა შესაძლებელი იყო დიდი ძალისხმევისა და ნიჭის წყალობით. სრულიად ახალგაზრდა და გამოუცდელი პიროვნება შეუდგა მეცნიერული სიმაღლეების დალაშქვრას.

ბატონი გიორგი იყო სწორედ ის ადამიანი, რომელიც მუდამ წინსწრებით ფიქრობდა ადამიანებისა და სამშობლოს მომავალზე. ის რუდუნებით ქმნიდა თავის მეცნიერულ პროდუქციას და გზას უკვალავდა ახალგაზრდა თაობებს მკვლევარის რთულ და საპატიო ტექნოლოგიების დაუფლებაში, რითაც თავისი კეთილშობილური წვლილი შეჰქონდა ქვეყნის წინსვლისა და პროგრესის საქმეში.

ბატონი გიორგი პაპავა პროფესორის ოჯახში იყო გაზრდილი, რამაც მისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე დიდი წვლილი შეიტანა. იმთავითვე, ბავშვობიდანვე გაუჩნდა მიდრეკილება (მის გონში იჯდა!) ეაზროვნა კრიტიკულად, დაწაფებოდა იმ დროისათვის მეცნიერების ახალ მიმართულებას, ეკონომიკის საფუძვლებს და მთელი გონებრივი პოტენციალი მიემართა მეცნიერების ამ დარგის შესწავლისაკენ. თუმცა არსებული სისტემა ჩაკეტილი იყო ერთ მონოეკონომიკური დოქტრინის ჩარჩოებში, პროფესორი გიორგი პაპავა კი ყოველთვის არ იკეტებოდა შეზღუდულ ჩარჩოში. ამავდროულად მისთვის ის უტოპიური თეორია ყოველთვის იყო ახლის ძიების საშუალება და მისი ყველა მეცნიერული პროდუქტი შემოქმედებითი სიახლეებითა და

მიდგომებით იყო გაჯერებული. ყოველივე ამას კარგად ხედავდა დაკვირვებულ მეცნიერთა თვალი და მედროვეთა მაამებლური ქცევის თვალსაწიერშიც ხვდებოდა ნიადაგ. მიუხედავად სისტემის წინააღმდეგობისა, პროფესორი გიორგი პაპავა არასოდეს არ იხევდა უკან და თავის სათქმელს ყოველთვის რკინისებური არგუმენტებით ასაბუთებდა.

პროფესორ გიორგი პაპავას მეცნიერული გზა არ იყო ია-ვარდით მოფენილი. სრულიად ახალგაზრდა ჩაება მეორე მსოფლიო ომის ქარტეხილებში. ყმაწვილკაცობაში ახლად შესული გიორგი პაპავა, როგორც სხვა ათასობით საბჭოთა ადამიანი, შემთხვევით აღმოჩნდა უკვე თითქმის გაცამტვერებული გერმანიის ტერიტორიაზე და, ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა ნებისყოფა და ძალისხმევა დასჭირდა მას საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად. მან ეს გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა და სრულყოფილი დაუბრუნდა თავის დედასამშობლოს.

წლების განმავლობაში დაუღალავი შრომით იქმნებოდა ერთიმეორის მიყოლებით ორიგინალური მეცნიერული კვლევის შედეგების ნიმუშები მონოგრაფიებისა თუ სახელმძღვანელოების სახით. ყველა ისინი საფუძვლიანად განსხვავდებოდა სისტემის მედროვე მაამებელთა მიერ ნაძალადევად შექმნილი სახელმძღვანელოებისა თუ მონოგრაფიებისგან და ჭეშმარიტად მოაზროვნე მეცნიერებსა და ახალგაზრდა თაობებში პროფესორ გიორგი პაპავას ორიგინალური ნამოღვაწარი ყოველთვის სამაგიდო წიგნად რჩებოდა ცოდნის შეძენის პროცესში.

პროფესორ გიორგი პაპავას ათეულობით წიგნი აქვს გამოცემული, მაგრამ განსაკუთრებით მინდა გამოვყო მისი ფუნდამენტური მონოგრაფია, რომელიც ეხება საბაზრო ეკონომიკის ტექნოლოგიებს. ეს ეპოქალური ნაშრომი სწორედ იმ სწორი შემოქმედებითი აზროვნების შედეგია, რომლისთვისაც ათეული წლების განმავლობაში ემზადებოდა ავტორი. სოციალიზმის წიაღში გაზრდილი მეცნიერი, რომ არა მისი მასშტაბური აზროვნების უნარი და დროების

ტყავში ჩაჯდომის დიდი ილიასეული თვისება, ალბათ, ეს უნიკალური მეცნიერული ხედვები არ დაიბადებოდა. ნამდვილი და ჭეშმარიტი მეცნიერი არასოდეს არ წერს მარტო თავის თანამედროვეთათვის გამოკვლევებს. მკვლევრის უნარი და მისი ნიჭის სიდიადე ყოველთვის რამდენიმე ნაბიჯით წინ უსწრებს არსებულ ეპოქას. ეს ნამდვილად ითქმის ჭეშმარიტ მეცნიერზე, პროფესორ გიორგი პაპავაზე. სწორედ მისი მეცნიერული პროდუქტი ელოდება მომავალ თაობებს, რათა სწორად გაიაზრონ უპრეცედენტო გარდამავალი პერიოდის თავისებურებები და ქვეყნის განვითარების სამომავლო ვექტორი, დანახული და შეფასებული დიდი ღვაწლმოსილი მეცნიერის მიერ.

პროფესორი გიორგი პაპავა იყო ახალ ეკონომისტთა მრავალი თაობის ღირსეული აღმზრდელი. მას გათავისებული ჰქონდა ოსტატისა და შეგირდის დამოკიდებულების ფენომენი, მაგრამ არასოდეს აგრძნობინებდა ახალგაზრდა მეცნიერს მისი ცოდნისა და გამოცდილების უპირატესობას. ყოველთვის ცდილობდა გადასაჭრელ პრობლემატიკაზე საუბრისას გამოუცდელი სპეციალისტი თანდათანობით ამოეწია აზროვნების მაღალ სიმაღლეზე და ეჩვენებინა მისთვის სწორი განსჯისა და მსჯელობის უნარი, გაეადვილებინა მეცნიერების მწვერვალებისაკენ სავალი გზები, რათა ჩაენერგილი საკუთარი რწმენით ღირსეულად ეგრძნო თავი მეცნიერების უკიდეგანო სამყაროში.

ბატონმა გიორგიმ თითქმის ცხრა ათეული წელი მოილია ამქვეყნიურ ცხოვრებაში და ეს ჟამთა სიმრავლე მისთვის ყოველთვის იყო რაღაც ახლის თქმისა და ადამიანებთან დამოკიდებულებაში ფუფუნების დამკვიდრების სურვილი, რომელსაც იგი ბრწყინვალედ ახერხებდა. სწორედ ამიტომ ზეციურ სამყაროში გიორგი პაპავას ამანძილების დროთა ჩამონათვალი მხოლოდ არითმეტიკული განზომილებაა და მის არდავიწყებას წარსული ვერასოდეს დაჩრდილავს.

ყველა ადამიანის მიერ განვლილი ცხოვრების გზის შეფასების კრიტერიუმი, უპირველესად, საკუთარი ოჯახია.

სწორედ ოჯახით იზომება პიროვნების სიმაღლეც და არსებობის სილამაზეც. ამ მხრივაც გამორჩეული გახლავთ პროფესორ გიორგი პაპავას ცხოვრება. მისი შთამომავლობა ღირსეულად აგრძელებს მამისა და პაპის მიერ სახელიანად განვლილ გზას და ქვეყნის სასიკეთოდ იღვწის ადამიანებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

უკვე საუკუნე მიილია პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან ამ სამყაროში. ყველა ადამიანის მოვლინება ღმერთის ნებით ხდება და მასზე დანათლული ზეგარდმო ნიჭი ქვეყნისა და ხალხის სამსახურში თავდადების უნარში განივთდება ხოლმე. მან კი პირნათლად მოიხადა თავისი ამქვეყნიური ვალი სამშობლოს, ოჯახისა და მომავალი თაობების წინაშე და ვალმოხდილი ეახლა ზეციურ საქართველოში დავანებულ ქართული მეცნიერებისა და სახელოვან წინაპართა სულთა საუფლოს. ის ბედნიერი მამულიშვილია ორი სახელით: ერთი, რომელიც აქ დატოვა თავისი ღირსეული შთამომავლობისათვის, და მეორე მარადისობაში გაიყოლია ზეციურ საქართველოში.

ბატონი გიორგი პაპავას სახელი ყოველთვის იბრწყინებს ქართული ეკონომიკური მეცნიერების ცის კაბადონზე. ის იყო ღვაწლმოსილი მეცნიერი, ღირსეული მამულიშვილი, მისაბაძი მასწავლებელი და ნაღდი მესამშობლოე კაცი.

მურმან კვარაცხელია

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ღირსეული მეცნიერი და პედაგოგი

მის მიერ ჩატარებული ლექციები გამოირჩეოდა თავისი სიღრმითა და სალექციო მასალის გადმოცემის სიმარტივით

ბატონ გიორგი პაპავასთან ჩემი ახლო ურთიერთობა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან დაიწყო. 1965-66 წლებში იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციას მიკითხავდა ერთ-ერთ მაპროფილებელ საგანში – „სამრეწველო წარმოების ეკონომიკა და მართვა“. მის მიერ ჩატარებული ლექციები გამოირჩეოდა თავისი სიღრმითა და სალექციო მასალის გადმოცემის სიმარტივით. შთამბეჭდავი იყო მისი ჩატარებული გამოცდებიც, რა დროსაც იგი არა მარტო ამოწმებდა სტუდენტების ცოდნას, არამედ მათდამი სწორი მითითებებითა და რჩევებით ეწეოდა უაღრესად მნიშვნელოვან აღმზრდელობით მუშაობას.

ჩემი სტუდენტობის წლებში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცეოდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობას, რომელშიც მეც ვიღებდი აქტიურ მონაწილეობას. სამეცნიერო წრეში ჩემ მიერ პირველად დამუშავებული და სტუდენტთა საუნივერსიტეტო კონფერენციაზე წარდგენილი ნაშრომის შესრულებისას მაღალკვალიფიციურ სამეცნიერო ხელმძღვანელობას მიწევდა ბ-ნი გიორგი ჩემ მონდომებასთან ერთად. ალბათ, ამითაც იყო განპირობებული, რომ აღნიშნულმა ნაშრომმა სტუდენტთა

საუნივერსიტეტო კონფერენციაზე მაღალი შეფასება მიიღო და სათანადო ჟიურის წარდგინებით იგი გამოქვეყნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულში. ეს იყო ჩემი პირველი სამეცნიერო შრომა.

ბ-ნ გიორგისთან ახლო ურთიერთობა გაგრძელდა ჩემი ასპირანტობისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობის წლებში, განსაკუთრებით კი იგი გაღრმავდა მაშინ, როდესაც იგი პროფესორის თანამდებობაზე დაბრუნდა მშობლიურ უნივერსიტეტში და ჩაება იმ სადისერტაციო საბჭოს მუშაობაში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი. მალევე იგი თავის განუყრელ მეგობარ ბ-ნ პავლე გარუჩავასთან ერთად, პროფესორის რანგით, სამუშაოდ გადმოვიდა უშუალოდ იმ კათედრაზე (მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის), რომლის ხელმძღვანელი მაშინ მე ვიყავი. მოცემულ კათედრაზე მისმა მოღვაწეობამ კიდევ უფრო თვალნათლივ დამარწმუნა, რომ ბ-ნი გიორგის სახით ჩვენ გვყავდა ნამდვილი მეცნიერი და ბრწყინვალე პედაგოგი. მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი აღნიშნულ კათედრაზე ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. მის მიერ ჩატარებული ლექცია-სემინარებით მოხიბლული იყო ყველა მისი მსმენელი. ბ-ნი გიორგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ნებისმიერ სიახლეს. ცდილობდა მასში დაენახა როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი მხარე და თავისი წვლილი შეეტანა მის გაკეთილშობილებაში. მისი უშუალო ინიციატივით კათედრაზე ჩამოყალიბდა სპეციალური სემინარი – „საბაზრო ეკონომიკის აქტუალური საკითხები“, რომელსაც პირადად თვითონ ხელმძღვანელობდა ბოლომდე. ბ-ნი გიორგი ამ სემინარზე მოხსენებით ხშირად გამოდიოდა და, როგორც ყოველთვის, გაბედულად გამოთქვამდა საკუთარ საყურადღებო მოსაზრებებს.

ბ-ნი გიორგი იყო საოცრად ყურადღებიანი და უბრალო ადამიანურ ურთიერთობებში. მასთან ურთიერთობა ყველას უადვილდებოდა, სტუდენტიდან დაწყებული, მისი რანგის მეცნიერით დამთავრებული. მან უზადო მეგობრობა იცოდა. იგი უაღრესად გულისხმიერი და ყურადღებიანი იყო, სტუდე-

ნტებისა და ასპირანტების მიმართ. სადისერტაციო საბჭოში ერთობლივი მუშაობის დროს არ მახსოვს შემთხვევა, რომ მას გაეცდინოს საბჭოს სხდომა ასპირანტის სამეცნიერო ხარისხის დაცვისას, აქ იგი გამოირჩეოდა თავისი პრინციპულობითა და ობიექტურობით, იყო უაღრესად მომთხოვნი, და ხშირად გვევლინებოდა ასპირანტის ოფიციალურ ოპონენტად.

მეცნიერებისადმი სიყვარული და ერთგულება ბ-ნი გიორგის ცხოვრების არსი იყო. იგი უზადო ნიჭით გამოირჩეოდა და თავის სპეციალობაში საუკეთესო პროფესიონალი გახლდათ. იყო საოცრად გაწონასწორებული, ყველას მიმართ კეთილგანწყობილი, უაღრესად გულისხმიერი და ყურადღებიანი ადამიანი ბ-ნი გიორგი იყო არაჩვეულებრივად საღი, სხარტი გონებით და სიახლის სწრაფი აღქმით დაჯილდოებული, ოპტიმისტური მუხტისა და ენთუზიაზმის მატარებელი ადამიანი. მის წინაშე წამოჭრილი ნებისმიერი დაბრკოლება უმალ გარდაიქმნებოდა მისთვის საინტერესო თავსატეხ ამოცანად, რომლის გადაწყვეტასაც მისთვის დამახასიათებელი ჭაბუკური ხალისით იწყებდა.

დიდია ბ-ნი გიორგის დამსახურება ქართული ეკონომიკური მეცნიერების და მაღალკვალიფიციური ეკონომისტების მომზადებაში. მან ღირსეულად გააგრძელა თავის სახელოვან წინაპართა ტრადიციები, შექმნა ჯანსაღი ქართული ოჯახი და, შვილებისა და შვილიშვილების სახით, ქვეყანას დაუტოვა სახელოვანი ახალგაზრდა თაობა.

ვისურვებდი, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალ თაობებსაც ეამაყოთ ისეთივე დახვეწილი და რაფინირებული მეცნიერებითა და პედაგოგებით, როგორიც იყო ბ-ნი გიორგი პაპავა.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული.

ნუგზარ პაიჭაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დაუოკებელი ენერგიისა და მისწრაფების ადამიანი



ბატონ გიორგისთან ურთიერთობა მე მხოლოდ მაშინ დავიწყე, როდესაც მან უნივერსიტეტში საქმიანობას თავი დაანება და სახლში, საკმაოდ ენერგიულად და თავისი ჩვეული მიზანსწრაფვით გააგრძელა შემოქმედებითი მოღვაწეობა, თუმცა მე მას ჩემი სტუდენტობის პერიოდიდან ვიცნობდი.

დიდი ხნის წინ მომიხდა მოსკოვში მისვლა ჩემს სტუდენტობის მეგობართან სახლში, სადაც მისი მამა, ბატონი გიორგი დამხვდა. საუბარი ცოტა არატრადიციულ თემაზე წარიმართა. დავიწყეთ იმის გარჩევა, თუ რა გამორჩეული თვისებები უნდა ჰქონოდა საბჭოთა ქვეყანაში კორუმპირებულ მეწარმეს და რა განასხვავებდა მას მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნის თაღლითებისაგან. საუბარს მისთვის ჩვეული სახალისო სიტყვები და გამონათქვამებიც ემატებოდა, რომელიც თემას ირონიულ ელფერს აძლევდა. ეს იყო მასთან ჩემი პირველი გაცნობა. დიდი ხნის შემდგომ მე სხვადასხვა ვითარების გამო მის სახლში მიხდებოდა მისვლა. იგი უკვე ხანდაზმული იყო, მაგრამ ბევრ ახალგაზრდას შეშურდებოდა მისი ენე-

მას ჰქონდა დაჯერების დიდი ძალა. იგი ცხოვრობდა აზრებით, თეორიებით და დაუოკებელი სურვილით საზოგადოებრივ მოვლენებში ეპოვნა სიახლეები, რომელსაც იგი თავისი ძლეური ლოგიკით ასაბუთებდა.

რგია. მაგიდაზე ედო წამლები, რომელსაც იგი ყოველდღე დიდი პუნქტუალობით იღებდა და ვამჩნევდი, რომ ეს მას სჭირდებოდა მხოლოდ იმისათვის, რომ ბოლომდე დაეწერა ის წიგნები, რომლებიც მას ჩაფიქრებული ჰქონდა. იგი შემოქმედებითი ადამიანი იყო და შემოქმედება კი მისი ცხოვრება იყო.

მას აღტაცებით შეეძლო საათობით საუბარი თემებზე, რომლებსაც იკვლევდა. იგი მოსაუბრეს ყოველთვის შთაგონებდა, ეფიქრა სრულიად ახლებურად. თუ მოკამათე მის აზრებს მიჰყვებოდა, აუცილებლად მის მხარეზე გადავიდოდა და საწინააღმდეგო არგუმენტსაც ბევრს ვერაფერს დაუპირისპირებდა. მას ჰქონდა დაჯერების დიდი უნარი. ცხოვრობდა აზრებით, თეორიებით და დაუოკებელი სურვილით, საზოგადოებრივ მოვლენებში ეპოვნა სიახლეები, რომლებსაც იგი თავისი ძლიერი ლოგიკით ასაბუთებდა.

ამ პერიოდში მისი დაწერილი ერთ-ერთი წიგნის რეცენზენტი გახლდით. როდესაც წავიკითხე და რეცენზია დავწერე, გულღიად ვუთხარი, რომ ამ წიგნის გაგებას მომზადებული გონება სჭირდება-მეთქი და იგი არ არის დაწერილი ყველასთვის. ეს წიგნი მან საზღვარგარეთ გამოსცა, რაც მისი უნიკალური აზროვნების ერთ-ერთი დადასტურებაც იყო.

ბატონი გიორგი მხოლოდ დაუღალავი შრომით აღწევდა თავის მიზნებს. უყვარდა ადამიანებთან დიდხანს საუბარი და მსჯელობა. მასთან დისკუსიისას თითქოს საათი ჩერდებოდა. იგი ვერ გრძნობდა დროის გასვლას. მრავალი საათი შეეძლო გაეტარებინა მსჯელობაში და ერთხელაც არ იკითხავდა თუ რა დრო იყო გასული.

მისი მიზანსწრაფული მოქმედების ერთ ეპიზოდს გავიხსენებ. ერთ-ერთ ფონდში სამეცნიერო კვლევითი პროექტის წარდგენა გადაწყვიტა და მასთან ერთად წავედი პროექტის ჩასაბარებლად. ჩაბარების ვადა იწურებოდა და შესასვლელში საკმაოდ ბევრი ხალხი იყო თავმოყრილი.

ფონდის წესებით, მხოლოდ პროექტის ხელმძღვანელს შეეძლო შესვლა და განაცხადის ჩაბარება. პროექტი მას უნდა შეეტანა. რიგში დგომა არ ითაკილა და არც სხვა გზების ძებნა დაიწყო, თუმცა ფეხზე დგომაც უჭირდა. როდესაც მისი რიგი მოახლოვდა, უკვე დროც იწურებოდა, შესასვლელში არეულობა დაიწყო და შეიქმნა იმის საფრთხე, რომ კარში გაჭედილი ხალხი მას არ შეუშვებდა და შესაბამისად იმ დღეს ვერ ჩააბარებდა განაცხადს. ამ დროს მან თავისი წამალი ამოიღო, რომელიც ჯიბით დაჰქონდა, ჩაისუნთქა და შემდეგ საკმაოდ შეუპოვრად დაიწყო თავისი რიგის ენერგიულად დაცვა. მე გაოგნებული ვიყავი მისი მებრძოლი სულით. როდესაც შენობიდან გამოვიდა, მე მას ვუთხარი, რომ მე ამას ვერ გავაკეთებდი და შეიძლება მეორე დღეს მოვსულიყავი-მეთქი პროექტის ჩასაბარებლად. მან კი მიპასუხა, რომ იგი ომგამოვლილი კაცი იყო და ყოველთვის ახერხებდა თავის დაცვას. ცხოვრებაც ასევე, ბრძოლით ჰქონდა გამოვლილი. არ მეგონა თუ ასეთი ბრძოლისუნარიანი ადამიანი ოდესმე გამოაკლდებოდა საზოგადოებას.

მიხეილ თოქმაზიშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შესანიშნავი პედაგოგი, გამორჩეული მეცნიერი, კრეატიულობის ნიმუში მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე

მისი პუბლიკაციები ყოველთვის გამოირჩეოდა ორიგინალურობის და სიახლის მაღალი სტანდარტით. ბატონი გიორგის ავტორისეული ჩანაფიქრის აღეკვატური აღქმა მოითხოვდა მკითველისაგან შესაბამის მომზადებას და საჭირო ცოდნას ისეთ დისციპლინებში, როგორიცაა სისტემური ანალიზი, თეორიული ეკონომიკა, სტატისტიკა, მოდელირება და უშუალოდ მიკროეკონომიკა.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი პაპავა გავიცანი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური კიბერენეტიკის სპეციალობით სწავლის პროცესში. ბატონი გიორგი გვასწავლიდა საწარმოთა ფუნქციონირების და განვითარების პრობლემებს.

პირველი დღიდან ჩემთვის და მთელი ჩვენი ჯგუფისთვის ბატონი გიორგის ყოველი ლექცია გამოირჩეოდა თემატიკის სიღრმისეული წარმოდგენით, სისტემური ანალიზის მეთოდის აქტიური გამოყენებით. რა თქმა უნდა, ჩვენი ჯგუფისთვის ასეთ ფორმატში ლექციები დიდად საინტერესო იყო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, განაწილებით დავიწყე მუშაობა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. აქ კვლავ შევხვდი ბატონ გიორგის უკვე როგორც მეცნიერ-მკვლევარს. ინსტიტუტს მაშინ ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ვალერიან მელქაძე. მე, როგორც დამწყე-

ბი ახალგაზრდა მეცნიერი, სიამოვნებით და დიდი ინტერესით ვესწრებოდი საინსტიტუტო სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების განხილვებს. ბატონი გიორგის მიერ განხორციელებული კვლევები გამოირჩეოდა ორიგინალურობით, პრობლემების ახლებურად დანახვის და მათი გადაჭრის პრინციპულად ახალი მეთოდების შემოთავაზებით. მათ განხილვას თითქმის ყოველთვის ჰქონდა მწვავე სამეცნიერო პოლემიკის ფორმა, რომელშიც ბატონი გიორგი მახსოვს თავისი დახვეწილი არგუმენტაციით, მაღალი სამეცნიერო კულტურით და ჭეშმარიტი სამეცნიერო პოლემიკისთვის საჭირო შეუპოვრობით. ყოველივე ეს იყო ჩემთვის სანიმუშო და მისაბაძი, და არა მარტო ჩემთვის, ჩემი თაობის ახალგაზრდა მეცნიერებისთვის, რაც არაერთხელ აღგვინიშნავს მე და ჩემს კოლეგებს საუბარში.

შემდგომ წლებში მე უკვე ვმუშაობ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, რომელსაც იმ დროს ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ავთანდილ გუნია. აქ ბატონი გიორგი, უკვე ჩემი კოლეგა და უფროსი მეგობარი, უფრო მეტად გავიცანი როგორც დიდებული პიროვნება, ჭეშმარიტი მეცნიერი, გულისხმიერი და უკეთილშობილესი ადამიანი.

ჩვენი შეხვედრა თითქმის ყოველთვის აგებული იყო საინტერესო სამეცნიერო პრობლემის შესახებ აზრთა ურთიერთგაზიარებაზე და, აუცილებლად, ბატონი გიორგის გონებამახვილური და კეთილი ხუმრობის ჩართვით. მოგვიანებით მეც ვახერხებდი ბატონი გიორგის ასეთ გონებამახვილურ ხუმრობაში ღისეული მოსაუბრე ვყოფილიყავი. აქვე აღვნიშნავ, რომ ეს ყველას არ გამოსდიოდა.

ბატონი გიორგი იყო ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ტექნოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

მისი პუბლიკაციები, როგორც მონოგრაფიები, ისე სტატიები, ყოველთვის გამოირჩეოდა ორიგინალურო-

ბის და სიახლის მაღალი სტანდარტით. ბატონი გიორგის ავტორისეული ჩანაფიქრის ადეკვატური აღქმა მოითხოვდა მკითხველისაგან შესაბამის მომზადებას და საჭირო ცოდნას ისეთ დისციპლინებში, როგორიცაა სისტემური ანალიზი, თეორიული ეკონომიკა, სტატისტიკა, მოდელირება და უშუალოდ მიკროეკონომიკა. ეს, რა თქმა უნდა, მიუთითებს იმაზე, რომ ბატონი გიორგი იყო თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი მრავალმხრივ განათლებული მეცნიერი ეკონომისტი.

ყოველთვის შესამჩნევი იყო ის, რომ ბატონ გიორგის შეეძლო ყოველი ახალი და აქტუალური ეკონომიკური პრობლემისთვის შემოეთავაზებინა თავისი განსაკუთრებული და ახალი ხედვა, ამ პრობლემის კვლევისა და მისი გადაჭრის პრინციპულად ახალი მიდგომები.

აღნიშნულთან დაკავშირებით მინდა გამოვყო ბატონი გიორგის ბოლო ნაშრომთაგან ერთ-ერთი: „საბაზრო ეკონომიკის ნორმალიზაციის საფუძვლები და დემოკრატია“ (ჟურნალი „ეკონომისტი“, 2009, №1). ამ სტატიაში ავტორი მისთვის ჩვეული კვლევის სიღრმით, სისტემურობით და ორიგინალურობით მსჯელობს ისეთ პრობლემებზე, რომლებმაც არ დაკარგა აქტუალობა დღესაც.

ნათელი ბატონი გიორგის ხსოვნას.

მის შვილებს, შვილიშვილებს და ახლობლებს, განსაკუთრებით გიორგი პაპავა უმცროსს, მომავალ ეკონომისტს და ჩვენ კოლეგას, წარმატებები, ბედნიერება და ყოველივე საუკეთესო.

გივი ბედიანაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის
ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რამდენიმე შტრიხი პროფესორ გიორგი პაპავას პორტრეტისათვის



XX საუკუნის 60-იან წლებში თბილისის უნივერსიტეტში „შრომის ეკონომიკის“ სპეციალობის პირველი გამოშვების ჯგუფში ვსწავლობდი. იგი დოცენტ პავლე გარუჩავას დეკანობისას მისივე ინიციატივით იყო შექმნილი და დეკანობის შემდგომაც დიდი ენთუზიაზმით „გვპატრონობდა“. ბატონი პავლე პირველ ლექციაზე შემოჰყვა დოცენტ გიორგი პაპავას და წარმოგვიდგინა როგორც თავისი საგნის ღრმად მცოდნე და დიდი პრაქტიკის მქონე ლექტორი. ბატონ გიორგის უნდა წაეკითხა ჩვენი სპეციალობისათვის უმნიშვნელოვანესი ოთხსემესტრიანი კურსი: „სამრეწველო საწარმოთა ორგანიზაცია და დაგეგმვა“.

– როგორც პავლემ გადმომცა, კარგია, რომ თქვენ ჯგუფში „სწავლამისჯილები“ უკვე აღარ არიან, – გვითხრა მან. – პრაქტიკულ-სემინარულ მეცადინეობებზე სხვა დავალებასთან ერთად მოვითხოვ მოამზადოთ „ჩამჭრელი კითხვები“ და შეეცადოთ ლექციის შინაარსში „ჩამჭრათ“. თქვენს შენიშვნებს შეფასებისას გადამწყვეტ მნიშვნელობას მივანიჭებ. სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, ჯერჯერობით, არაა, წაკითხული ლექციების ხელნაწერს გათხოვებთ და მას ძირითად წყაროდ გამოვიყენებთ.

ღრმა სიბეჰეშიც უამჰავს შჰომობდა, წეჰდა, აქვეყნებდა. ჰოგოჰც ჩანს, საბაზჰო ეკონომიკზე გადასვლამ უფჰო ჰეაღუჰი და ხეღშესახები გახადა მისი მეცნიეჰუღი დაკვიჰვებანი

ჩვენმა ჯგუფელმა ჯემალ ნადირაძემ სადღაც აღმოაჩინა ჩამოწერილი როტატორი (მაშინ როტატორები მკაცრ აღრიცხვაზე იყო აყვანილი) და დაუჯერებლად მცირე თანხით ამრავლებინებდა გადმოცემულ სალექციო ტექსტს. ბატონ გიორგის აზრის შეკუმშული, ეკონომიური გადმოცემის ჩვევა ჰქონდა. ჩვენი შენიშვნებით და კონკრეტული წინადადებებით დაჟინებით ვთხოვდით ტექსტის უფრო გაშლას, რაშიც უმთავრესად გვეთანხმებოდა. შემდგომში ეს ლექციები სახელმძღვანელოდ გამოიცა.

უფრო ძნელი აღმოჩნდა „ჩამჭრელი კითხვების“ მოძებნა. ჯგუფის უმეტესობა დაჟინებით თხოვდა მაშინდელ ლიდერს, ჩვენ ჯგუფელ ნუგზარ პაიჭაძეს, რომ ერთობლივად მოენახათ რაიმე „ჩამჭრელი კითხვა“. ნუგზარ პაიჭაძეს, პავლე გარუჩავასა და გიორგი პაპავასთან ერთად „შრომის ეკონომიკის“ ჯგუფის მესამე და მთავარი „მზრუნველი“ გახდა. მას ჩვენსავით ხალისიანი ბავშვობა არ ჰქონდა გავლილი, ადრე იყო დაბრძენებული, უაღრესად დიდი ენერგია და ავტორიტეტი ჰქონდა. ჩათვალა, რომ ევალებოდა „შრომის ეკონომიკის“ ჯგუფის თავგამოდებულ სწავლაზე ეზრუნა. მაშინ ჯგუფის უმეტესობა სტუდქალაქში ცხოვრობდა და პაიჭაძის ოთახში ხშირად იკრიბებოდნენ სამეცადინოდ: „ჩამჭრელ კითხვებს“ ეძებდნენ, თორემ ლექციის ტექსტი თითქმის ყველას გაზეპირებული ჰქონდა.

სამი „მზრუნველისა“ და ჯგუფის თავგამოდებამ თავისი შედეგი გამოიღო. „შრომის ეკონომიკის“ ჯგუფმა მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით გამოცხადებულ აკადემიური ჯგუფების კონკურსში მოსწრების მხრივ პირველი ადგილი დაიკავა. მისი ყველა წევრი დაჯილდოვდა ოცდღიანი ტურისტული საგზურით „საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ“. პროფესორ პაპავას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ალბათ, მაშინდელი თავგამოდების შედეგიცაა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს ამ ჯგუფიდან დღემდე შემორჩნენ პროფესორები: ნუგზარ პაიჭაძე, მირონ ტუღუში და მირიან ტუხაშვილი.

სტუდენტობის შემდგომ ათეული წლების განმავლობაში ჩვენს ჯგუფს ხშირად გვქონდა შეხვედრები. ბატონ გიორგის არცერთი შეხვედრა არ გამოუტოვებია, იგი თავის აღზრდილად და მეგობრად გვთვლიდა, ოხუნჯობდა, გვესიყვარულებოდა.

* * *

მეგობრობდა მრავალჭირნახულ, ომგადახდილ პროფესორებთან: პავლე გარუჩავასთან, სერგო სოსელიასთან, ვალერიან ომიაძესთან, მამია ღაღანიძესთან, გიორგი მაზიაშვილთან; მამამისის მეგობრებთან: ირაკლი მიქელაძესა და ნაოფიცრალ უგანათლებულეს კაცთან, დოცენტ სიმონ გამყრელიძესთან („სიმონ პარმენიჩი“).

– მოდი გავესაუბროთ სიმონ პარმენიჩს, გვეტყოდა მაშინდელ ასპირანტებს და აყოლებდა მრავლისმნახველ სიმონ პარმენიჩს წარსულ ამბებს. მახსოვს ფრაგმენტი სიმონ პარმენიჩის მონათხრობიდან: „მე ბიძაშვილმა კრემლის დაცვაში მომაწყო სამუშაოდ. ცნობილ დისკუსიებს დავსწრებივარ. მახსოვს ლენინი ფანჯრის რაფაზე შეჯდა, ყუყუნით ხელს უშლიდა ტროცკის გამოსვლისას, როცა ის სტალინზე აცინებდა მთელ დარბაზს. საპასუხოდ სტალინმა ტროცკის პარტიიდან დროზე გასაცოცხი ნაგავი უწოდა“....

მეტად გულითადი მეგობრობა ჰქონდა ნუგზარ პაიჭაძესთან. ნუგზარი ფაკულტეტის ახალგაზრდობის ლიდერი იყო და ფაკულტეტის საბჭოს წევრიც გახლდათ. ის და ბატონი გიორგი გვერდზე მიდგებოდნენ და არჩევდნენ ფაკულტეტის საჭირბოროტო საკითხებს. შემდგომში, როცა ნუგზარი სხვა ფაკულტეტზე ხელმძღვანელად გადავიდა, განუწყვეტლად სთხოვდა ბატონ გოგის მასთან გადასვლას და ბოლოს მაინც მიაღწია ამას.

* * *

ბატონი გიორგი გულმოდგინედ იცავდა სადოქტორო დისერტაციას. ოპონენტებმა დიდად შეაქეს. მილოცვების შემდეგ მან კათედრის ასპირანტები: თემურ ძეგლიგაშვილი, ივერი შალამბერიძე, ნუგზარ პაიჭაძე და მე გვერდზე გაგვიხმო და გვითხრა: „ბიჭებო, მეგობრულად გთხოვთ, არაერთი ცნობილი პიროვნებაა დაპატიჟებული ბანკეტზე, ყველაფერი ორგანიზებულია, მაგრამ მაინც ყურადღებით იყავით, რომ სტუმრებმა ისიამოვნონ“.

დიდ საბანკეტო დარბაზში გაშლილ სუფრას ჩიტის რძეც არ აკლდა. მართლაც, ბევრი „ცნობილი სახე“ შევნიშნე... დიდად მოილხინეს... დავით გამრეკელმა იმღერა... ბატონი გიორგი უზომოდ კმაყოფილი იყო.

* * *

ერთხელ, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის სხდომის დაწყების წინ აკადემიკოსმა ირაკლი მიქელაძემ მოიკითხა პავლე გარუჩავა, სერგო სოსელია, ოთარ საღარეიშვილი და ჰკითხა: „რას შვრებიან ბიჭები, როგორ სწავლობენო“.

ბიჭები კარგად სწავლობენ, თქვა სოსელიამ, მაგრამ გოგი პაპავას ბიჭი (ბატონო გოგი კათედრის სხდომას ვერ ესწრებოდა), დიდ ნიჭს ავლენს და თავისი სკოლა აღფრთოვანებული ჰყავსო. ბაბუის ნიჭი გამოჰყოლია. თქვა ბატონმა ირაკლიმ. მერე ასპირანტებს შემოგვიბრუნდა და გვითხრა: „ჩემი უახლოესი მეგობარი იყო ვლადიმერ პაპავა, ჩვენთან მუშაობდა, დიდი სპეციალისტი იყო...“ბალშოი ტალანტ“.... დინასტია ყალიბდება. – შენიშნა სოსელიამ. ჰო დინასტია... ყოჩაღ გოგი, უნდა ვუთხრა, ეკონომიურზე შემოიყვანოს შვილი, ყოჩაღ გოგი, ყოჩაღ!“.

ათეული წლების შემდეგ პროფესორ გიორგი პაპავას ხშირად ეუბნებოდნენ: „წარმატებებში შვილმა გაგასწრო, გაჯობაო“.

ნურას უკაცრავად, ჯერ იმანაც გაზარდოს მინისტრი შვილი და მერე შემედაროსო - პასუხობდა ბატონი გოგი.

* * *

სიცოცხლის ბოლომდე, ღრმა სიბერის დროსაც შეუპოვრად შრომობდა, წერდა, აქვეყნებდა. როგორც ჩანს, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ უფრო რეალური და ხელშესახები გახადა მისი მეცნიერული დაკვირვებანი. ერთხელ ვაჩვენე ჟურნალში დაბეჭდილი გრაფიკი, რომელიც გამოხატავდა ასაკის ზრდის შესაბამისად მეცნიერთა შრომისუნარიანობის შემცირებას. ვუთხარი, რომ მისი სამეცნიერო შედეგები ასაკის ზრდასთან ერთად მატულობდა და ვერ ჯდებოდა ამის თაობაზე გამოქვეყნებულ გამოკვლევათა შედეგებში. ვკითხე:– „სადაა შეცდომა?“

-„შეცდომა არსად არაა. თქვენ დაგავიწყდათ, რომ ბუნებაში გამონაკლისებიც არსებობს. ეს გრაფიკი მას ვერ გაითვალისწინებდა. რაც შემეხება მე, კიდევ უფრო მოვუმატებ გამოქვეყნებას“. – გაიცინა, ადგა და დიდად კმაყოფილი წავიდა.

მირიან ტუხაშვილი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსაგონარი

სწავლის პროცესში ბატონი გიორგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სტუდენტების მიერ სიახლისადმი დამოკიდებულებას, საკითხების გააზრების სიღრმეს, მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაცნობიერებას, ამასთან, დაზეპირების კატეგორიული წინააღმდეგი იყო

პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე ჩარიცხულ ჩემი თაობის (1964-1969 წწ) სტუდენტებს ძალიან გაგვიმართლა, რადგან ლექცია-სემინარებს გვიტარებდნენ ცნობილი პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც ცოდნასა და ენერგიას არ იშურებდნენ, რათა საფუძვლიანად შეგვესწავლა ეკონომისტის რთული პროფესიის სრულყოფილად დასაუფლებლად აუცილებელი როგორც ეკონომიკური, მათემატიკური, გეოგრაფიული, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური თუ სხვა მიმართულებების დისციპლინები. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული იყო პროფესორი გიორგი პაპავა, რომელიც კონკრეტული დისციპლინის საკითხების შესწავლასთან ერთად ახალგაზრდების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისა და მათი ნამდვილ მოქალაქეებად ჩამოყალიბებისათვის ზრუნავდა.

მე, როგორც ბატონი გიორგის ყოფილი სტუდენტი, ლექტორი-სტუდენტის ურთიერთობიდან რამდენიმე ეპიზოდს გავიხსენებ. ბატონი გიორგი „სამრეწველო წარმოების ეკონომიკასა და მართვას“ გვიკითხავდა. მაღალი პროფესი-

ონალიზმისა და გადმოცემის თავისებური მანერის გამო მისი ლექცია-სემინარები, უაღრესად საინტერესო იყო და არ შეიძლებოდა ყურადღებით არ მოგესმინა. სწავლის პროცესში ბატონი გიორგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სტუდენტების მიერ სიახლისადმი დამოკიდებულებას, საკითხების გააზრების სიღრმეს, მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაცნობიერებას, ამასთან, დაზეპირების კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მას დიდ სიამოვნებას გვრიდა სტუდენტების მიერ დასმული შეკითხვები (როგორც უშუალოდ შესასწავლ თემებთან, ასევე შესაბამისი ლიტერატურის მოძიებასთან დაკავშირებით და ა.შ.), რომლებზეც სიამოვნებით გვპასუხობდა.

ჩვენი სტუდენტობის პერიოდში, ლექტორსა და სტუდენტს შორის ურთიერთობა ისე მარტივი არ იყო, როგორც ეს დღეს არის. ლექტორების უმეტესობა სტუდენტებთან „ოფიციალური ურთიერთობების ჩარჩოების“ დაცვას ცდილობდა. ბატონი გიორგი, ამ მხრივ მართლაც გამორჩეული პიროვნება იყო. ის სტუდენტებთან მეგობრული დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. მან კარგად იცოდა რა უჭირდა თუ ულხინდა თითოეულ მათგანს, ნებისმიერ დროს ახერხებდა მათ მოკითხვას და დახმარებასაც სთავაზობდა.

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ბატონ გიორგისთან ჩამოყალიბებული კარგი ურთიერთობა გამოცდებზე რაიმე სახის შეღავათის გაწევის გარანტი არ იყო. იგი ასეთ „ახლობლებს“ სხვებზე მეტად „ჩაუკირკიმალავდებოდა“, აინტერესებდა თუ რაოდენ ღრმად იცოდნენ ესა თუ ის საკითხი. კარგად მახსოვს, ერთ-ერთ გამოცდაზე დავიწყე თუ არა ბილეთის პირველ საკითხზე პასუხის გაცემა შემაჩერა და მითხრა: პირველი საკითხი სამ ნაწილად გავყოთო. პასუხის შემდეგ ეს ნაწილები ცალ-ცალკე შეაფასა და გამოიყვანა პირველი საკითხის შეფასების საშუალო მაჩვენებელი, ასე მოიქცა ბილეთის მეორე და მესამე საკითხის შემთხვევაშიც. ბატონი გიორგი თვლიდა, რომ

გამოკითხვის ასეთი მეთოდი შესაძლებლობას აძლევდა, ობიექტურად შეეფასებინა სტუდენტების ცოდნა. მომქანცველი გამოკითხვის შემდეგ მითხრა: „ხომ ხედავ ერთი ბილეთის სამი საკითხი ისე დავანაწილეთ, ფაქტობრივად მთელი საგანი მოვიცავითო“. ეს ყველაფერი დღესაც კარგად მახსოვს და ვფიქრობ, რომ ტესტებით ჩატარებული გამოცდების (ამჟამად, რომ ვატარებთ) იმდროინდელთან გამოცდებთან შედარებაც კი არ შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ ტესტური მეთოდით ცოდნის შეფასების პრაქტიკა ფართოდაა გავრცელებული და საიმედო მეთოდადაც ითვლება, მაინც მიმაჩნია, რომ კეთილსინდისიერი და ობიექტური ლექტორისა და სტუდენტის გასაუბრების საფუძველზე ჩატარებული გამოცდის შედეგები ბევრად უფრო სარწმუნოა და რეალურად ასახვს სტუდენტის ცოდნის დონეს.

ჩვენი „შრომის ეკონომიკის“ ჯგუფის სტუდენტების უმეტესობა კარგად სწავლობდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც გამოცდების ჩაბარებისას საგნების ე.წ. „ჩაწყობას“ უფრო ცდილობდნენ, ვიდრე სწავლას. მათ მაღალკურსელებთან გასაუბრებით დაადგინეს, რომ ბატონ გიორგისთან, მისი პრინციპული ხასიათის გამო, ამ გზით სასურველი ნიშნის მიღება შეუძლებელი იყო და სწავლა დაიწყეს. გამოცდებზე ზოგიერთმა მაღალი ნიშანიც კი მიიღო.

ბატონი გიორგი ძალიან ბევრს მუშაობდა იმ სტუდენტებთან, რომლებიც სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამდნენ. ის ყოველნაირად ცდილობდა, რომ მისი ხელმძღვანელობით მომზადებული მოხსენებები სანიმუშო ყოფილიყო და, რაც მთავარია, კონფერენციაზე სტუდენტს თავი კარგად წარმოეჩინა. იგი ყოველთვის გვაფრთხილებდა, რომ მთავარი და შედარებით მეორეხარისხოვანი საკითხი ერთმანეთისაგან გაგვერჩია და ყურადღება მთავარზე გაგვემახვილებინა.

ბატონი გიორგი დიდი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა, შეიძლება ითქვას, რომ ის სიცოცხლის ბოლო-

მდე ნაყოფიერად საქმიანობდა, რასაც მისი სამეცნიერო პუბლიკაციების ფართო ჩამონათვალიც ადასტურებს. ბატონი გიორგის ნაშრომები ჩვენთვის, სტუდენტებისათვის ერთგვარი გზამკვლევი იყო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რადგან იგი მუდმივად სიახლის ძიებაში იყო, მისი კვლევის შედეგების ბოლომდე გაგება-გაცნობიერება არათუ ჩვენთვის, არამედ ზრდასრული ეკონომისტებისათვისაც პრობლემას წარმოადგენდა და საკვლევ თემასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხების საფუძვლიან ცოდნას მოითხოვდა. კარგად მახსოვს მაშინდელი გოსპლანის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მუშაობისას ბატონი გიორგის ნაშრომის (თუ არ ვცდები მონოგრაფიის ნაწილის) განხილვასთან დაკავშირებით გამართული მრავალდღიანი ცხარე დებატების შემდეგ როგორი კმაყოფილი იყო, როცა მისი ნაშრომის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების უმეტესობის უსაფუძვლობა დაასაბუთა.

ბატონი გიორგი, სხვა მნიშვნელოვან უნარებთან ერთად, შეიძლება ითქვას, რომ ჯანსაღი იუმორის უნარსაც მომეტებულად ფლობდა, რაც მასთან ურთიერთობას კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა. ამის დასადასტურებლად ასეთ ფაქტს გავიხსენებ. მე, როგორც ბატონი გიორგის ყოფილ სტუდენტს, მასთან ურთიერთობა სტუდენტობის შემდეგაც არ შემიწყვეტია, მას ვხვდებოდი როგორც უნივერსიტეტში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ერთ საღამოს ბატონ გიორგის შევხვდი საზეიმო სუფრასთან. ერთმანეთის თბილად მოკითხვის შემდეგ შევატყობინე, რომ მე პაპავების სიძე გავხდი-თქო (სიდედრი მყავდა პაპავა). ბატონმა გიორგიმ ხელი მაგრად ჩამომართვა, მომილოცა, უცებ ჩაფიქრდა, ცალი თვალი ოდნავ მოხუჭა და მითხრა: „ამას წინასწარ ვგრძნოდი, აბა შენ გგონია სტუდენტობისას მაღალ ნიშნებს მარტო ცოდნის გამო გიწერდიო?“. შემდეგ დაწვრილებით გამომკითხა ყველაფერი და გაირკვა, რომ ის ჩემი სიდედრის ახლობლებს იცნობდა.

ერთხელ ბატონ გიორგის ერთ-ერთმა მისმა მეგობარმა შვილის – ბატონი ლადოს აკადემიკოსად არჩევა მიულოცა, თან დასძინა: „რა კარგია, როცა მამას, შვილი აჯობებსო“. ბატონმა გიორგიმ უმალვე უპასუხა: კი, კარგია, მაგრამ ჩემი შვილი მაშინ მაჯობებს, როცა მასზე (ანუ ჩემს შვილზე) უკეთესი შვილი ეყოლებაო“. მეტი რაღა შეიძლება არ ვიცი, მაგრამ ბატონ ლადოს ვუსურვოთ, რომ მასზე უფრო წარმატებული შვილი აღეზადოს.

ნათელში ამყოფოს უფალმა დიდებული ადამიანის, ცნობილი მეცნიერისა და პედაგოგის, პროფესორ გიორგი პაპავას სული, მისი ნათელი ხსოვნა დაუვიწყარია.

მირონ ტუღუში

თსუ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრის
ასოცირებული პროფესორი

გიორგი პაპავა – გამოჩენილი მეცნიერი, სანიმუშო პიროვნება



იგი გახდათ სალმიანი, დარბაისელი, უშუალო, ხალისიანი და, რაც მთავარია, ძალიან მოსიყვარულე ადამიანი. სწორედ ამას გვასწავლიდა ჩვენ, მის მოწაფეებს.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი გიორგი პაპავა იმ ღვაწლმოსილ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში.

მე მადლიერი ვარ ბედისა, რომ მასთან შეხვედრა და მეგობრობა მარგუნა.

მის ხასიათსა და საუბრის კილოში მუდამ მაძიებელი კაცი შეიცნობოდა, ამასთან თავდაჯერებული და თავისთავადი. ასეთ ადამიანებს ქარიზმატულს უწოდებენ. ბ-ნი გიორგი უდავოდ ასეთი იყო.

იგი გახლდათ სალმიანი, დარბაისელი, უშუალო, ხალისიანი და, რაც მთავარია, ძალიან მოსიყვარულე ადამიანი. სწორედ ამას გვასწავლიდა ჩვენ, მის მოწაფეებს. ახლა, როდესაც ბ-ნი გიორგი აღარ არის, უკეთ ვაცნობიერებ, რომ ამ დონის შრომისმოყვარე და ოპტიმისტი ადამიანი არასოდეს შემხვედრია. იგი სიცოცხლის ბოლომდე ენერგიულად აგრძელებდა თავის საყვარელ საქმიანობას და საკუთარ თავს „იდეების გენერატორს“ უწოდებდა. მისი იდეები ახლაც გამორჩეული და

საგულისხმოა, როცა საუბრობდა, მინდოდა ყურადღებით მომესმინა.

მან აღზარდა მკვლევართა და პედაგოგთა არაერთი თაობა. თითქმის ყველა სასახელო მეცნიერი და კარგი პიროვნებაა. მათგან ბევრს მეც ვიცნობ. ყოველი მათგანი, გარდა მადლიერების უდიდესი გრძნობისა, უზარმაზარ, გულწრფელ სიყვარულს გამოხატავს ამ არაჩვეულებრივი ადამიანის მიმართ.

მისი ერთ-ერთი მთავარი დამსახურებაა ის, რომ საკუთარი მაგალითით ყველას ასწავლიდა არა მარტო მეცნიერებას, არამედ ცხოვრებას, პასუხისმგებლობას, შრომისმოყვარეობას, კეთილსინდისიერებას და სხვების პატივისცემას; ყველასთან შეეძლო საერთოს გამონახვა, განურჩევლად მათი თანამდებობრივი თუ სოციალური მდგომარეობისა.

მას ძალიან უყვარდა საქმის „წინ წაგდება“. ამბობდა, არავითარ შემთხვევაში არ გადადო ხვალისთვის ის, რისი გაკეთებაც დღეს შეიძლებაო. როდესაც რამე პრობლემაზე მუშაობდა, ამაზე დღედაღამ ფიქრობდა. თურმე არ დაიზარებდა, ღამეც კი დგებოდა და თავში მოსულ აზრებს ინიშნავდა. ჩვენც იგივეს გვასწავლიდა.

მახსოვს, ერთხელ ოპერაცია გაუკეთეს, თანამშრომლები სანახავად მივედით და იქაც საკუთარ ნაშრომზე გვესაუბრა, იქაც არ დაეკარგა დრო უქმად და წლის ბოლოს ჩასაბარებელი თემის ნახევარზე მეტი გაკეთებული ჰქონდა (ეს იყო დაახლოებით გაზაფხულზე).

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი თხრობის უნარი. ცნობილია, რომ ბ-ნი გიორგი დიდი სამამულო ომის მონაწილე იყო. იგი ისეთი იუმორით იხსენებდა ომის პერიოდის საშინელ ეპიზოდებს, თითქოს რაიმე ფილმს ყვებოდა. ჩვენ, ახალგაზრდები გასუსულები ვისმენდით მის საინტე-

რესო მონაყოლს და გვიჩნდებოდა თანამონაწილეობის გრძნობა: ჩვენც ვიცნობდით მის თანამებრძოლებს, ჩვენც ვმონაწილეობდით საომარ ოპერაციებში. რამდენჯერმე ვთხოვეთ კიდეც ამის შესახებ წიგნი დაეწერა, მაგრამ იგი სამეცნიერო ნაშრომებში იყო ჩაფლული და ამ მოგონებებს ზეპირად გადმოგვცემდა. გულდასაწყვეტია, რომ ჩვენ თვითონ ვერ მოვიფიქრეთ და არ ჩავიწერეთ მისი ეს საოცარი ამბები.

მე, როგორც მის ასპირანტს და თანამშრომელს, ხშირად მიხდებოდა მასთან სახლში მისვლაც. ეს კიდევ ცალკე „აკადემია“ იყო. ეს გამორჩეული ადამიანი, არაჩვეულებრივი ოჯახის უფროსი იყო. სითბო, ყურადღება, გულისხმიერება, უშუალობა – ეს მათი სავიზიტო ბარათი იყო. მისი მეუღლე, ქალბატონი რუსუდანი (ჩვენთვის „რუსიკო დეიდა“), ყოველთვის საკუთარი ხელით გამომცხვარი, უგემრიელესი ნამცხვრებით გვიმასპინძლდებოდა. ბატონი გიორგი არ გვაცლიდა, ქაფქაფა ჩაის გვალევინებდა, რომ დრო არ დაგვეკარგა. ამაზე რუსიკო დეიდა ბრაზობდა ხოლმე – ნუ შეგვჭამე, ადამიანოო.

მისი სხარტი გამონათქვამები ხომ ცალკე აღნიშვნის ღირსია. ყველა სიტყვას, ტერმინს თავისებურ განმარტებას აძლევდა. მაგალითად, ხშირად იმეორებდა: „ადამიანი არ უნდა იყოს მარტო ცოცხალი წონა“, ანდა „გამარჯვებული უსინდისო მაინც უსინდისოა“, კიდევ: „ამბობენ, კეთილი შურიც არსებობსო. ეს ხომ შურის გამართლებითი ნიღაბიაო“ და მრავალი სხვა. მე ნუნუკას მეძახდა, ამბობდა: ეს „კაი ნუნუს“ ნიშნავსო.

ჩემთვის ბ-ნი გიორგი საუკეთესო მაგალითი იყო. მას თვითონ არავის მიბაძვა არ უყვარდა და ჩვენც ამასვე გვასწავლიდა, თუმცა იგი ნამდვილად მისაბაძი ადამიანი იყო. თუკი ბედმა დაგვაჯილდოვა ასეთი პიროვნების გვე-

რდით ყოფნით, ყოვლად აუცილებელია მისგან მაგალითის აღება. მისი ხსოვნა სამუდამოდ იცხოვრებს ჩემს და ყველა მათ გულებში, ვისაც ბედმა არგუნა მისი გაცნობა და მასთან ერთად მუშაობა.

ნუნუ ქისტაური

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის
ეკონომიკის ინსტიტუტის

უფროსი მეცნერი თანამშრომელი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

საოჯახო ალბომიდან

ახალგაზრდობის ფოტო

კაბინეტში

გიორგი პაპავა აკადემიკოს ირაკლი მიქელაძესთან და კათედრის წევრებთან ერთად

გიორგი პაპავა აკადემიკოს იოსაკი მიქელაძესთან
და კათედრის წევრებთან ერთად კათედრის სხდომის შემდეგ

სტუდენტებტან ერთად

გიორგი პაპავას დაბადებიდან მე-80 წლისთავი

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სადისკუსიო დარბაზის სხდომაზე

ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად

სადისკუსიო სხდომაზე გაკეთებული
მოხსენების შემდეგ

გიორგი პაპავა მეუღლესთან და პროფესორ ეთერი ხარაიშვილთან ერთად

0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel: +995 (32) 2250484, # *6284; #6278*
www.press.tsu.ge